ხელშეკრულება № 256

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 06 12 2013 წელი

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის დავით რაზმაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „გაზმშენი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაქარია ჩიხლაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი.

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით გაზიფიცირების სამუშაოების (CPV კოდი 45300000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 *შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება.*

2.1. შესყიდვის ობიექტია: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვარში და მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სახსრებით გაზიფიცირების სამუშაოები თანდართული საპროექტო -სახარჯთაღრიცხვების დოკუმენტაციის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 10273 (ათი ათას ორას სამოცდაცამეტი) ლარი, სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი და პირობები.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორის მუნიციპალიტეტი,

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც

დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების შესახებ, რითაც დადგინდება სამუშაოთა მოცულობები და ღირებულება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების (შესრულებული სამუშაოების) აქტი, ფორმა №2. საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ანგარიშსწორება მოხდება არა უგვიანეს 30 დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

- გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებულ ვადაში;

- სამუშაოების დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

---------- ----------

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან

გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით

განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის

გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე

შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3 % ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 01 თებერვლამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12 ფორს-მაჟორი.

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, გორის

მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ

შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან

დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სუბკონტრაქტორები.

15.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების მონაცემები.

15.2. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

16 სხვა პირობები.

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და

მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

---------- ----------

16.5 ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები.

16.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
გორის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს „გაზმშენი”
მისამართი : ქ.გორი სტალინის გამზ.№16	მისამართი : ქ. გორი გორგასლის ქ 5/1
საბანკო რეკვიზიტები :	საბანკო რეკვიზიტები :
ს\ს „ ლიბერთი ბანკი” შ/ქართლის ფილიალი.	ს/ს „ვითიბი ბანკი” გორის ფილიალი
ბანკის კოდი : LBRTGE22	ბანკის კოდი : UGEBGE22
ს\კოდი : 218065910	ს\კოდი : 417877060
ა/ა GE14LB0120131879389002	ა/ა GE20VT0200000360493602
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.	შ. პ. .ს „გაზმშენის” დირექტორი
დავით რაზმაძე	ზაქარია ჩიხლაძე.

გორის მუნიციპალირერი სოფ/პატარა გარეჯვრის რიტუალების სახლის გაზმომარაგების გამრიცხველიანება

ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოების დასახელება	გაზ. ერთეული	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ფოლადის მილი დ20	გრ/მ	4	3.2	12.8	1.84	7.36	20
2	გაზის მრიცხველი G6T ფოლადის ყუთით	ცალი	1	250	250	62	62	312
[illegible]	[illegible]	[illegible]	1	12	12	3	3	15
4	დასამაგრებელი დეტალები	კგ	1.5	4.2	6.3	1	1.5	8
	ჯამი				281.1		73.86	355
	ტრანსპორტი	5%						14
	ჯამი							369
	ზედნადები ხარჯი	8%						30
	ჯამი							399
	გეგმიური მოგება	6%						24
	ჯამი							422
	დღგ	18%						76
	ჯამი							498

შეადგინა თ.ნამორაძე

გორის მუნიციპალიტეტი სოფ. მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფერმის დასახლების გაზმომარაგება

მოცულობათა უწყისი

	სამუშაოების დასახელება	გაზ. ერთეული	რაოდენობა
1	ორმოების ამოთხრა ხელით III კატ გრუნტში საყრდენებისათვის	მ3	3.2
2	ფუნდამეტის მოწყობა საყრდენებისთვის მ-200 მარკის ბეტონით ადგილზე მომზადებით	მ3	2.3
3	არაკონდიციური მილი საყრდენებისათვის დ=89	გრ/მ	118
4	მუხლი ფოლადის დ=89	ცალი	28
5	დასამაგრებელი დეტალები საყრდენებისათვის	კგ	35
6	ფ. მილი დ=89 შედუღება პნევმატური გამოცდით	გრ/მ	265
7	მილსადენისა და საყრდენების შელებვა ზ/საღებავით 2 ფენად	მ2	73
8	შეჭრა არსებულ გაზსადენში	ადგ	1

გორის მუნიციპალიტეტი სოფ. მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფერმის დასახლების გაზმომარაგება

ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოების დასახელება	გაზ. ერთეული	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
1	ორმოების ამოთხრა ხელით III კატ გრუნტში საყრდენებისათვის	მ3	3.2	0	0	12.9	41.28	41
2	ფუნდამეტის მოწყობა საყრდენებისთვის მ-200 მარკის ბეტონით ადგილზე მომზადებით	მ3	2.3	106	243.8	15	34.5	278
3	არაკონდიციური მილი საყრდენებისათვის დ=89	გრ/მ	118	9.45	1115.1	2.33	274.94	1390
4	მუხლი ფოლადის დ=89	ცალი	28	11.3	316.4	4.65	130.2	447
5	დასამაგრებელი დეტალები საყრდენებისათვის	კგ	35	4.17	145.95	1.7	59.5	205
6	ფ. მილი დ=89 შედუღება პნევმატური გამოცდით	გრ/მ	265	11.8	3127	3.8	1007	4134
7	მილსადენისა და საყრდენების შელებვა ზ/საღებავით 2 ფენად	მ2	73	3.5	255.5	1.8	131.4	387
8	შეჭრა არსებულ დ/წ გაზსადენში	ადგ	1	0	0	93	93	93
	ჯამი				5203.8		1771.8	6976
	ტრანსპორტი	5%						260
	ჯამი							7236
	ზედნადები ხარჯი	8%						579
	ჯამი							7815
	გემიური მოგება	6%						469
	ჯამი							8283
	დღგ	18%						1491
	ჯამი							9775

შეადგინა თ.ნამორაძე

"გ ე ო"
"GEO"
S.A.
GEORGIA GORI L.T.D.
21303679